

# ახალი ბუნათელეს


19 - 25 მაისი  
ფასი 1 ლარი 70 თეთრი

19 (733) ბაზელის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

## ჩემი სამომავლო გეგმები საქართველოს უკავშირდება

რუბრიკის „ქართველი სტუდენტები უცხოეთში“ სტუმარია მირანდა თედევილი, გაგებ ზოიას უნივერსიტეტი



გვერდი 6

პროფესიული განვითარება

## პროგრამა, რომელიც ევროპელ კოლეგებთან გვასხლოებს



საქართველოში პროგრამა „ახალგაზრდების“ კოორდინატორი ნინო მანისურაძე:

„მასწავლებელია მთავარი ხიდი მომავალ თაობებთან, ახალგაზრდებთან ურთიერთობისთვის, სწორედ ამიტომ კეთდება აქცენტი მათ ინფორმირებულობაზე, რომ შეძლონ მოსწავლეებს განუვითარონ ისეთი ფუნდამენტური ღირებულებები, როგორცაა: დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოება, კანონის უზენაესობა, ადამიანთა უფლებები, გავრცელება უფლებები, ინტეგრირებული განათლება და სოციალურ-კულტურული მრავალფეროვნება, ქალაქობისა და დისკრიმინაციის პრევენცია, მედიაინფორმირება და სხვ.“

გვერდი 2

რეკონსტრუქციის

## სიასტრატეგია დატვირთული სასწავლო წელი



გვესაუბრება ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ნინო ჩიტაძე

„ჩვენი სფერო მუდმივ განახლებადია და, გუნდობით, საზრუნავი და პრობლემები ყოველთვის იქნება, მაგრამ გურულები გამორჩეულად აქტიური, ენერჯიული და სიასტრატეგის ადვილად მიმღები ხალხია, ამიტომაც მჯერა, ჩვენი პედაგოგები, რომლებიც აქტიურად ჩაერთვნენ კარიერული წინსვლის სქემაში, წარმატებულად იქნებიან თავიანთ პროფესიაში.“

გვერდი 4

### ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების განრიგი

2016	(პირველი სესია - მეორე სესია) - ქართული ენა და ლიტერატურა	1-2 ივლისი
	(პირველი სესია - მეორე სესია) - ზოგადი უნარები	4-5 ივლისი
	(პირველი სესია - მეორე სესია) - ინგლისური ენა	6-7 ივლისი
	(პირველი სესია) - რუსული ენა	6 ივლისი
	(მეორე სესია) - ფრანგული ენა	6 ივლისი
	(მეორე სესია) - რუსული ენა	7 ივლისი
	(პირველი სესია) - გერმანული ენა	7 ივლისი
	(მეორე სესია) - სამომავლო განათლება	8 ივლისი
	(მეორე სესია) - ენობა	11 ივლისი
	(პირველი სესია) - მათემატიკა	14 ივლისი
	(პირველი სესია - მეორე სესია) - გეოგრაფია	15 ივლისი
	(პირველი სესია - მეორე სესია) - ისტორია	18 ივლისი
	(პირველი სესია) - ლიტერატურა	19 ივლისი
	(პირველი სესია) - ბიოლოგია	20 ივლისი
(პირველი სესია) - ფიზიკა	21 ივლისი	
(პირველი სესია) - სახვითი და გამოსვენებითი ხელოვნება	21 ივლისი	

პროფესიული განვითარება

პროგრამა, რომელიც ევროპელ კოლეგებთან გვაახლოებს



მირვე ნელია, საქართველოში განათლების სპეციალისტთა განვითარების მიზნით შექმნილი პროგრამა „პესტალოცი“ სწორდისწავლაზე. ევროსაბჭოს მიერ შექმნილი პროგრამას ჩვენს ქვეყანაში კოორდინაციას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი უწევს და განათლების სპეციალისტებს, ყოველწლიურად, მრავალფეროვან ღონისძიებებს სთავაზობს, რაც მთავარია, ქართველ მონაწილეებს უზენაეს კოლეგებთან თანამშრომლობის საშუალებას აძლევს. კონკრეტულად პროგრამის რა აქტივობებში მონაწილეობს სამიზნე ჯგუფი, ამის შესახებ გვიხატება საქართველოში პროგრამა „პესტალოცი“ კოორდინატორი ნინო მანისურაძე:



რა არის „პესტალოცი“ და როგორია მისი მიზნები?

პროგრამა „პესტალოცი“ განათლების დარგის პროფესიონალთა განვითარების მიზნით შეიქმნა და მას ევროსაბჭო, ევროპის კულტურის კონვენციის ფარგლებში, ახორციელებს. საქართველოში პროგრამას, 2009 წლიდან კოორდინაციას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი უწევს. პროგრამას საკმაოდ ფართო სამიზნე აუდიტორია ჰყავს, მონაწილეობა შეუძლიათ არა მხოლოდ მასწავლებლებს, არამედ ტრენერებს, ტრენინგების მსურველებს, შეიძლება ითქვას მთლიანად სასკოლო საზოგადოებას, განათლების საკითხებით დაინტერესებულ და სფეროში სხვადასხვა ფორმით ჩართულ პირებს. სამიზნე აუდიტორია თითოეული აქტივობის მიხედვით ინდივიდუალურად არის განსაზღვრული. რომელი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებს შეუძლიათ ამა თუ იმ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება, ღონისძიების ორგანიზატორი ქვეყანა თავად აწესებს და უთითებს კალენდარში. ასე მაგალითად, თუ ერთი ღონისძიებისთვის, მაგ., ტრენინგთა ტრენინგისთვის, მოითხოვება ტრენინგების გამოცდილების მქონე პირები, მეორე ღონისძიებისთვის შესაძლოა განისაზღვროს კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფის მასწავლებლების გამოცდილების მქონე პრაქტიკოსი მასწავლებლები, ან სკოლის ფსიქოლოგები და სხვ. ამიტომ, აპლიკანტი დარეგისტრირებამდე ყურადღებით უნდა გაეცნოს მონაწილეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ეს დამოკიდებულია თავად ღონისძიებაზე, სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრავს ის ქვეყანა, რომელიც, „პესტალოცი“ ფარგლებში, ამა თუ იმ ღონისძიების ორგანიზატორია. რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, სამიზნე ჯგუფის წევრები იყვნენ სპორტის მასწავლებლები, დირექტორები, სახელმძღვანელოებისა თუ ტრენინგმოდულების ავტორები და ა.შ.

პროგრამას, როგორც გითხარით, ევროსაბჭო ახორციელებს და, შესაბამისად, ევროსაბჭოს წევრი ქვეყნები მონაწილეობენ. ყოველი წლის ბოლოს დგება შემდეგი წლის სამოქმედო პროგრამა, სადაც მოცემულია ყველა ის ღონისძიება, რომელსაც ევროსაბჭოს წევრი ქვეყნები სთავაზობენ „პესტალოცი“ მონაწილეებს. საქართველო რამდენჯერმე იყო „პესტალოცი“ მასპინძელი ქვეყანა.

პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს განათლების პოპულარიზაციას და მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების პროცესს. პროგრამაში ჩართულ პირებს საშუალება ეძლევათ, ითანამშრომლონ ევროპულ კოლეგებთან საგანმანათლებლო პროგრამების დასაგეგმად და განსახორციელებლად. პროგრამა განათლების სპეციალისტებს, ყოველწლიურად, სხვადასხვა ღონისძიებაში ჩართვას სთავაზობს.

მასწავლებელთა მთავარი მიზნები მომავალ თაობებთან, ახალგაზრდებთან ურთიერთობისთვის, სწორედ ამიტომ კეთდება აქცენტი მათ ინფორმირებულობაზე, რომ შეძლონ მოსწავლეებს განუვითარონ ისეთი ფუნდამენტური ღირებულებები, როგორცაა: დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოება, კანონის უზენაესობა, ადამიანთა უფლებები, ბავშვთა უფლებები, ინტერკულტურული განათლება და სოციალურ-ტურული მრავალფეროვნება, ძალადობისა და დისკრიმინაციის პრევენცია, მედიაინფორმაცია და სხვ.

უფრო დეტალურად რა თემებს მოიცავს პროგრამა და რა აქტივობები ხორციელდება მის ფარგლებში?

სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობა სკოლებში, ადამიანთა უფლებების სწავლება და დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა, ინტერკულტურული განათლება და სოციალურ-ტურული მრავალფეროვნება, ისტორიის სწავლება, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებების სწავლება, ბავშვთა უფლებები, ძალადობისა და დისკრიმინაციის პრევენცია, მედიაინფორმაცია და სხვ. ეს „პესტალოცი“ ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ძირითადი თემატიკაა. როგორ იმუშაონ მასწავლებლებმა ამ თემებზე და როგორ განუვითარონ მოსწავლეებს უნარები ამ მიმართულებით, ამისთვის ტარდება ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები, რომლებშიც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი პედაგოგები, დირექტორები და ზოგადად სასკოლო საზოგადოება მონაწილეობენ.

„პესტალოცი“, დღეისთვის, რამდენიმე ტიპის აქტივობას ახორციელებს, მათ შორის: ევროპული სამუშაო შეხვედრები, რომლებშიც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ; ტრენინგთა ტრენინგები – გრძელვადიანი კურსი ტრენინგებისთვის, რომელიც 18 თვე გრძელდება და ორი მოდულისგან შედგება და ძირითადად მოიცავს 5 ფაზას: დაგეგმვა და მომზადება (6-8 თვე), A მოდულის შეხვედრაზე დასწრება (3-4 დღე), საკუთარი ტრენინგმოდულის შექმნა და პილოტირება (6-8 თვე, ონლაინრეჟიმში ევროპულ კოლეგებთან თანამშრომლობა), B მოდულის შეხვედრაზე დასწრება (3-4 დღე), ტრენინგმოდულის განახლება და რედაქტირება (2-3 თვე). პროგრამის ბოლოს თითოეულმა მონაწილემ უნდა გააკეთოს მის მიერ შემუშავებული და ჩატარებული ტრენინგმოდულის პრეზენტაცია.

„პესტალოცი“ ერთ-ერთი აქტივობა – საზაფხულო სკოლა ძალიან პოპულარულია ქართველ პედაგოგებში, ორგანიზებულია ბავშვობის აკადემიის – გერმანიის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ. საზაფხულო სკოლის ხანგრძლივობა 8 დღეა.

დისტანციური (ელექტრონული) ტრენინგკურსები (eTraining Courses) – „პესტალოცი“ ფარგლებში დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ ონლაინ ტრენინგკურსებში. სწავლება მიმდინარეობს დისტანციურად.

ეროვნული სემინარები 1-3 დღე გრძელდება. მისი მიზანი „პესტალოცი“ პროგრამების შესახებ ინფორმაციის ეროვნულ დონეზე გავრცელებაა. ეროვნული სემინარები ჩვენთანაც ჩატარებულა ისევე, როგორც ევროპული სამუშაო შეხვედრები. ასეთ ფორმატში, „პესტალოცი“ ეგიდით, ჩვენს ქვეყანაში, თითქმის ყოველწლიურად, ქართველ მასწავლებლებს, ქვეყნიდან გაუსვლელად, უცხოელი კოლეგების მრავალმხრივი გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა ეძლევათ. შარშან გვექნა ევროპული სამუშაო შეხვედრა სქემასთან დაკავშირებით, რადგანაც ეს თემა ძალიან აქტუალურია.

წელს, „პესტალოცი“ ფარგლებში, საქართველოში სამუშაო შეხვედრა არ იგეგმება, თუმცა მასწავლებლებს უწყვეტ რეჟიმში რეგისტრირდებიან და მიემგზავრებიან საზღვარგარეთ დაგეგმილ ღონისძიებებზე. ახლახან ერთ-ერთი ასეთი აქტივობის რეგისტრაციის ვადა იწურებოდა და კიდევ ერთხელ შევახსენეთ საზოგადოებას „პესტალოცი“ პროგრამაზე დარეგისტრირების შესაძლებლობა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს შერჩევის პროცედურები. უნდა აღინიშნოს, რომ მთელი წლის განმავლობაში, სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ღონისძიება იმართება. მონაწილეობის მსურველ პირს შესაძლებლობა აქვს, წლის დასაწყისშივე, შეარჩიოს მისთვის სასურველი აქტივობა და დარეგისტრირდეს ელექტრონულად.

რა აუტიციტორული კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი აქტივობაში ჩასართავად და არის თუ არა მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდული?

რაოდენობა, რასაკვირველია, განსაზღვრულია და ევროსაბჭოსთან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების თანახმად, წელიწადში, საშუალოდ, 10-12 პირის გაზიარების შესაძლებლობა გვეძლევა. ხანდახან თემა იმდენად აქტუალურია, რომ ბევრი მსურველი რეგისტრირდება. აქაც გარკვეული შეზღუდვებია. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს, თითოეულ ღონისძიებაზე, მინიმუმ – 2, მაქსიმუმ კი 5 კანდიდატის წარდგენა შეუძლია, რომელთაგან, შემდეგ ორგანიზატორები თავად არჩევენ მონაწილეებს.

რაც შეეხება კრიტერიუმებს, „პესტალოცი“ ღონისძიებებში მონაწილეობა შეუძლიათ: საჯარო სკოლის მასწავლებლებს, სახელმძღვანელოების ავტორებს, დირექტორებს, განათლების სპეციალისტებს, მასწავლებელთა ტრენინგებს და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე სხვა პირებს, რომლებიც საშუალოზე მაღალ დონეზე ფლობენ იმ ენას, რომელზეც სასურველი აქტივობა წარმართება. ევროსაბჭოს მიერ დადგენილია ენის კომპეტენცია – B 2 ან უფრო მაღალი.

მონაწილეობის მსურველი, რომელიც ამ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, „პესტალოცი“ ვებგვერდზე ირჩევს მისთვის საინტერესო თემატიკას, რეგისტრირდება ელექტრონულად

მითითებული ვადების მიხედვით. შერჩევის პირველ ეტაპზე პროგრამაში მონაწილეობის შესახებ თანხმობას კანდიდატს დამსაქმებელი აძლევს, რაც ელექტრონულად ხორციელდება, მაგალითად, მასწავლებლის შემთხვევაში – სკოლის დირექტორი. შერჩევის მეორე ეტაპზე – „პესტალოცი“ კოორდინატორი კანდიდატს იმის მიხედვით განიხილავს, თუ როგორი სამოტივაციო წერილი აქვს ან როგორ შეესაბამება მისი კვალიფიკაცია განაცხადში მითითებულ კრიტერიუმებს. საბოლოოდ კი, კოორდინატორის მიერ შერჩეული კანდიდატების განაცხადები სამუშაო შეხვედრის ორგანიზატორი ქვეყანას გადაეგზავნება საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

როგორც აღვნიშნე, ყველა აქტივობას თავისი სამიზნე აუდიტორია ჰყავს, თუ ერთი შეხვედრისთვის შეიძლება მხოლოდ ტრენინგების გამოცდილების მქონე კანდიდატები შეირჩენ, მეორე ღონისძიებისთვის შეიძლება უპირატესობა მოქმედ მასწავლებლებს ან მასწავლებლობის მსურველ ახალგაზრდა კადრებს მიენიჭოს. ამიტომ ამ კრიტერიუმების მიხედვით შერჩევის მეორე ეტაპს ჩვენ ვახორციელებთ. საბოლოო გადაწყვეტილებას, კანდიდატების შერჩევასთან დაკავშირებით, ღონისძიების ორგანიზატორი მხარე იღებს, რის შესახებაც აცნობებს აპლიკანტს. შერჩევა ელექტრონულ ფორმატში და სატელეფონო საუბრით მიმდინარეობს.

შერჩევის პროცესის დასრულებისთანავე აპლიკანტი მიიღებს შეტყობინებას შერჩევის პროცესის შედეგების შესახებ, რათა დროულად დაიწყოს მგზავრობასთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაოები. ევროსაბჭოსთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, პროგრამა „პესტალოცი“ ღონისძიებებში მონაწილეობა უფასოა და ითვალისწინებს მგზავრობის, დაბინავებისა და კვების ხარჯის ანაზღაურებას. მონაწილე თავად ირჩევს და გეგმავს გამგზავრებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ათანხმებს „პესტალოცი“ კოორდინატორთან. მონაწილემ შეიძლება თავად გაიღოს ხარჯი და, დაბრუნებისთანავე, მიმართოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს ასანაზღაურებლად ან წინასწარ მოითხოვოს ეკონომიური ავიაპილეთის შექმნა.

რა შედეგი მოგვცა რამდენიმეწლიანმა პროექტმა და რამდენმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა „პესტალოცი“ ღონისძიებებში?

ევროსაბჭოსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, „პესტალოცი“ ფარგლებში, საზღვარგარეთ ჩატარებულ შეხვედრებში (სამუშაო შეხვედრები, ტრენინგთა ტრენინგები, საზაფხულო სკოლები და ა.შ.), 2009 წლიდან, 65-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა და გაიზიარა უცხოელი კოლეგების გამოცდილება. საქართველოში ჩატარებულ ღონისძიებებში 35-მდე უცხოელ და 150-მდე საქართველოს მოქალაქე განათლების სპეციალისტს აქვს მონაწილეობა მიღებული.

რა დოზით არიან ჩართული პროექტში რეგიონის მასწავლებლები და ზოგადად, როგორია „პესტალოცი“ მიმართ ინტერესი?

პროგრამის მიზანია, როგორც აღვნიშნე, დემოკრატიული ღირებულებების სწავლების მასწავლებლებისთვის გაცნობა-გაზიარება, ახალგაზრდა თაობებისთვის სწორად მიწოდება, ადამიანის უფლებებისა და ბავშვთა უფლებების სწორად გაგება და პრაქტიკაში დანერგვა. პროგრამა ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება და, შესაბამისად, მასში ჩართული არიან მონაწილეები როგორც თბილისიდან, ისე რეგიონებიდან. ინტერესი, რასაკვირველია, დღეის, მაგრამ არსებობს შემაფერხებელი ფაქტორი – ენის ბარიერი. შეიძლება მოტივაცია ჰქონდეს ადამიანს, მაგრამ უცხო ენის სათანადოდ არცოდნა პრობლემას უქმნიდეს. რომ არა ენის ბარიერი, ინტერესი გაცილებით დიდია იქნებოდა. თუმცა, ყურადსაღებია ისიც, რომ მცდარია მოსაზრება, თითქმის, მხოლოდ ინგლისურის მასწავლებლებს შეუძლიათ „პესტალოცი“ ღონისძიებებში მონაწილეობა. ნებისმიერი საგნის მასწავლებლებს – ქიმიის, მათემატიკის, სამოქალაქო განათლებისა თუ სხვ. – შეუძლია მონაწილეობა, მთავარი მოთხოვნის გათვალისწინებით – უნდა ფლობდეს იმ ენას, რა ენაზეც ტარდება ღონისძიება და უნდა ჰქონდეს მყარი მოტივაცია. წელს, ენობრივი თვალსაზრისით, მრავალფეროვნებაა, რადგან ღონისძიებები, „პესტალოცი“ ეგიდით, დაგეგმილია ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე. მათგან ერთ-ერთი, ძალიან საინტერესო და აქტუალურ თემაზე შეხვედრა – „უწყვეტი პროფესიული განვითარება სკოლის ბაზაზე“ – მოლდოვაში ჩატარდება და თარგმანი რუსულ და ინგლისურ ენებზე იქნება უზრუნველყოფილი. შესაბამისად, დარეგისტრირების ინტერესი, ვფიქრობ, უფრო მეტ მასწავლებელს გაუჩნდება.

დაბოლოს, „პესტალოცი“ ღონისძიებებში მონაწილეობა აისახება თუ არა პედაგოგების კრედიტულებზე?

„პესტალოცი“ მონაწილეს გადაეცემა „პესტალოცი“ ღონისძიებაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი, სადაც აღნიშნულია: ღონისძიების ფორმატი, თემატიკა, სამუშაო საათების რაოდენობა. მასწავლებელი, სხვა დოკუმენტაციასთან ერთად, სკოლის შიდა შეფასების ჯგუფს წარუდგენს სერტიფიკატს. ამის შემდეგ შეფასების ჯგუფი იღებს გადაწყვეტილებას მასწავლებლისთვის კრედიტულების მინიჭების შესახებ.

ინფორმაცია

სასკოლო პროექტები პანკისის ხეობის სკოლებისთვის



ტიკული ცოდნის გაცემის საფუძველზე, ბავშვებს წიგნის მოვლის უნარ-ჩვევები გამოუმუშავდეთ, აგრეთვე ჩამოუყალიბდეთ და აუმაღლდეთ წიგნთან სწორად მოპყრობის კულტურა. გარდა ამისა, პროექტის მიზნებში გათვალისწინებულია საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ ბიბლიოთეკებში დაცული წიგნების ფიზიკური მდგომარეობის შესწავლა და მათი რეაბილიტაციის პროგრამის შემუშავება, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს რეგიონში არსებული სკოლის ბიბლიოთეკების მდგომარეობას და ხელს შეუწყობს წიგნის რესტავრაციის პოპულარზაციას ახალგაზრდა თაობაში.



ბოლო წლებში ხეობის სკოლებში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი ამოქმედდა. კერძოდ, 2015 წელს, ადგილობრივი თემის გააქტიურებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პანკისის ხეობის სკოლებისთვის სამინისტრომ, „სასკოლო ინიციატივების“ ფორმატში, 12 პროექტი დააფინანსა (ჯამში - 32 000 ლარამდე); სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ამუშავდა კითხვის კლუბი, რომელიც პანკისის ხეობაში მცხოვრებ ქისტ, ჩეჩენ და ახმეტის რაიონის საჯარო სკოლების მოზარდებს აერთიანებს. ისინი ერთად განიხილავენ აქტუალურ თემებს, ამზადებენ სპექტაკლებს, მონაწილეობენ სასკოლო კონკურსებში, წარმატებით მუშაობს პროექტი „კინო სკოლაში“.



2016-2017 სასწავლო წლიდან პანკისის სკოლების მე-10, მე-11 კლასებში დაიწყება „მენარმობის“ საგნის სწავლება, რომლის პარალელურად, პანკისის ორი სკოლის ბაზაზე, შეიქმნება „მინი-კომპანიები“. მოსწავლეებს საშუალება ექვებათ, სასწავლო პროცესში რეალურად გამოცადონ ბიზნესიდეის ჩამოყალიბების, კომპანიის დაარსების, საქმიანობის წამოწყების, აწყობისა და მართვის პროცესი.

სკოლების ბაზაზე გაიხსნება სამინისტროს მიერ დაფინანსებული ინგლისური ენის წიგნები, რაც ხელს შეუწყობს ინგლისური ენის ცოდნის დონის ამაღლებას, ხეობაში ტურისტების მოზიდვის მიზნით, ინგლისურად მოლაპარაკე სერვისსექტორის განვითარებას.

**თამარ სანიკიძე:** „2015 წელს, პანკისის ხეობაში, ჩამოვიტანეთ არაერთი პროექტი, რომლებიც იმ ეტაპისთვის მოთხოვნილი იყო.

დღეს შედეგი სახეზეა - პანკისის ხეობის სკოლები ყველა პროექტში სრულფასოვნად ჩაერთნენ. წელს კიდევ უფრო მეტი პროექტი შეეთავაზეთ როგორც განახლებული ფორმატით, ასევე ახალი. მათ შორისაა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროგრამა, რომელსაც კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ახორციელებს. წარმოდგენილია ლაბორატორია, რომელიც ბავშვებს ნამდვილად დაინტერესებს. იმუშავებენ ხელნაწერთა რესტავრაციაზე, აღდგენაზე, გაეცნობიან ხელნაწერების ისტორიას არა მხოლოდ საქართველოში დაცულს, არამედ სხვადასხვა ქვეყნების კოლექციებიდან. ძალიან შინაარსიანი და საინტერესო პროექტია. მისი პილოტირება სიმონეთში გავაკეთეთ და ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა. დღეს, ამ ხეობიდან, ამ პროექტის ფართომასშტაბიან განხორციელებას ვაანონსებთ. წარმატებას ვუსურვებ მოსწავლეებს და მომავალშიც ნამდვილად ვიქნებით ორიენტირებული, რომ ამ ნიჭიერ და მართლაც გამორჩეულ ბავშვებს ის პროგრამები მივაწოდოთ, რომლებიც აინტერესებთ.“

**ზაზა აბაშიძე:** „დღისში ძალიან საინტერესო პროექტით ჩამოვიდეთ, რომელიც შექმნილია რესტავრაციისა და კონსერვაციის განყოფილებაში - ეს არის ქართული ხელნაწერის ისტორიის გაცნობა ქართული ხელნაწერის ძველი წიგნების აღდგენის გზით. ჩვენი ახალგაზრდა თანამშრომლები და ბატონი რეზო კლდიაშვილი დიდი ენთუზიაზმით ეკიდებიან ამ საქმეს. პროექტის პრეზენტაცია უკვე გვექონდა სოფელ სიმონეთში, მეორეა დღისი და, პრაქტიკულად, დღეიდან, ვიწყებთ პროექტის განხორციელებას. უნდა მოვიცვათ მთელი საქართველო. ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტია თუნდაც იმით, რომ ბავშვს, ახალგაზრდას, მოსწავლეს აახლოებს წიგნთან, წარსულთან, ისტორიასთან და პლუს, აახლოებს თვითონ სპეციალობასთან (რესტავრატორის, კონსერვატორის), ძალიან საინტერესო, მნიშვნელოვან და საჭირო პროფესიასთან.“

**რეზო კლდიაშვილი,** ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კონსერვაცია-რესტავრაციის ლაბორატორიის გამგე: „დროა, ჩვენმა ახალგაზრდებმა გაიგოს, რომ ძალიან დიდი განძი დევს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში



და არა მარტო ცენტრში, სახელმწიფო არქივში, მუზეუმში. ძალიან გვჭირდება კვალიფიციური რესტავრატორები. ჩვენ უკვე დავიწყეთ ამაზე ზრუნვა, გადავწყვიტეთ, ვიაროთ რაიონებში, მათ შორის მალაქმთიან რაიონებში და გავაცნოთ ბავშვებს ეს სპეციალობა, ბევრმა არც იცის მისი არსებობის შესახებ. ამიტომ მისი პოპულარიზება ძალიან მნიშვნელოვანია. ვცდილობთ, ამ პროექტით დავაინტერესოთ ახალგაზრდები, რომ სამომავლოდ, სხვა პროფესიასთან ერთად, დაეუფლონ რესტავრატორის სპეციალობას, რომელიც ძალიან საინტერესოა.“

მანდატური სამსახური რეგიონებში ფართოვდება

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა ფუნქციონირება დაიწყო კახეთის რეგიონის სოფელ დუისის, ახმეტის №1 და №2 საჯარო სკოლებში, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა 500-ს აღემატება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და მანდატურის სამსახურის უფროსმა ვახტანგ მეფარიანმა პანკისის ხეობის სოფელ დუისის საჯარო სკოლის წარმომადგენლებს პირადად წარუდგინეს მანდატურები, რომლებიც უკვე შეუდგნენ მოვალეობის შესრულებას.

შერჩეულმა კანდიდატებმა, პოლიციის აკადემიაში, მანდატურთა მომზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა და ფსიქოლოგიური მომზადების კურსი გაიარეს. იგეგმება მანდატურის სამსახურის ეტაპობრივი ამოქმედება სამცხე-ჯავახეთის 6 და ქვემო ქართლის 5 საჯარო სკოლაში.

ამ ეტაპზე, 1202 მანდატური საქართველოს 419 საჯარო და 4 კერძო სკოლაში, 3 პროფესიულ სასწავლებელსა და 1 უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას.

როგორც ცნობილია, რამდენიმე წლის წინ, განხორციელდა მანდატურის სამსახურის ძირითადი რეფორმა. შეიქმნა ფსიქოლოგიური ცენტრები, მანდატურის სამსახურის ბაზაზე ამოქმედდა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა. 2016-2017 სასწავლო წლიდან, პანკისის ხეობის ყველა სკოლის მე-9 და მე-11 კლასების მოსწავლეებისთვის, დაიწყება პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კურსის სწავლება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია საწარმოებში, პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში ვიზიტები და სხვადასხვა პროფესიების შესახებ ინფორმაციის ადგილზე მიღება.



წარმატებული მოსწავლეები ბრიტანეთის პრესტიჟულ სკოლებში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტროში HMC პროექტის გამარჯვებული კანდიდატების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა გამარჯვებულებს სერტიფიკატები გადასცა.

აღნიშნული პროექტი საქართველოში კომპანია „Unique Learning“-ის მხარდაჭერით ხორციელდება. „Unique Learning“ HMC Project-ის ერთადერთი ექსკლუზიური წარმომადგენელია საქართველოში.

HMC - ბრიტანული სახელმწიფო საქველმოქმედო ორგანიზაცია, 1991 წლიდან, აფინანსებს ცენტრალური და ადგილობრივი ევროპის ქვეყნების წარმატებულ მოსწავლეების სწავლებას გაერთიანებულ სამეფოში. საქართველოში კომპანია „Unique Learning“-ის მხარდაჭერით, მეოთხე წელია, ახორციელებს პროექტს, რომლის ფარგლებში, 2016 წლის კონკურსის საფუძველზე, 16 გამარჯვებული კანდიდატი გამოვლინდა, რომლებიც სწავლას პრესტიჟულ ბრიტანულ სკოლებში გააგრძელებენ.

**ლია გიგაური:** „ინგლისის სკოლის დირექტორთა კომიტეტი, უკვე მეოთხე წელია, წარმატებულ ქართველ მოსწავლეებს ბრიტანეთში განათლების მისაღებად აფინანსებს. თითოეულმა მოსწავლემ საკმაოდ ხანგრძლივი და რთული შესარჩევი ტური გაიარა და 16 მოსწავლე, რომელმაც საუკეთესო შედეგები დააფიქსირა, დიდ ბრიტანეთში გაემგზავრება და ყველაზე

უფრო პრესტიჟულ და წარმატებულ უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლის. მათ დაფინანსებას გაიღებს დირექტორთა კომიტეტი, ეს საკმაოდ სოლიდური თანხაა - 30 000-დან 40 000 ფუნტამდე მერყეობს. დარწმუნებული ვარ, ისინი გამარჯვებულები და წარმატებულები დაგვიბრუნდებიან.“

**გიორგი ჩიქოვაძე,** ნიუტონის სკოლის მოსწავლე: „გავიმარჯვე HMC-ის პროექტში, მივიღე სრული დაფინანსება, რომ ინგლისში ერთი წლით სასწავლებლად წავიდე. ჩემი აზრით, ეს საშუალებას მომცემს, რომ მომავალში წარმატებული გავხდე.“

**რატი დანელია,** 16-ე საჯარო სკოლის მოსწავლე: „მონაწილეობა მივიღე HMC-ის პროექტში, ერთ-ერთი წარმატებული მონაწილე ვიყავი და დაფინანსება მოვიპოვე. მაქვს შესაძლებლობა, ვისწავლო მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო სკოლაში, ბრიტანეთში. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო „Unique Learning“-ს, რომელიც დაამხმარა, მნიშვნელოვანი, წარმატებული ნაბიჯები გადაამდგა.“

**მერაბ ჩიქოვაძე,** მონაწილის მშობელი: „რა თქმა უნდა, ყველა მშობლისთვის შვილის წარმატება უდიდესი სიხარულია. მით უმეტეს, როდესაც ასეთ ასაკში ეძლევათ საშუალება, ღრმა და საფუძვლიანი განათლება მიიღონ, ეს ყველა ჩვენგანისთვის უდიდესი ბედნიერებაა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და პროექტში მონაწილე ბავშვებს მივულოცო ეს დიდი წარმატება.“

რეპორტი

# სიახლეებით დატვირთული სასწავლო წელი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 24 საჯარო და 1 კერძო სკოლა ფუნქციონირებს. ისა როგორც მთელ ქვეყანაში, აქაც, მიმდინარე სასწავლო წელი პიკური სიახლითაა გამოირჩეული, რომელთა შესახებაც საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ნინო ჩიტაძე მოგვიყვება.

ქალბატონი ნინო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია და, 2007 წლიდან, ურეკის საჯარო სკოლაში ჯერ ფსიქოლოგად მუშაობდა, შემდეგ კი „ტოლერანტობას“ ასწავლიდა. სხვადასხვა წლებში იყო საინფორმაციო მენეჯერი; ინკლუზიური განათლების მოხალისე კორდინატორი მამია, როცა ამ კუთხით (2010 წ.) პირველი ნაბიჯები იღებოდა ქვეყანაში. 2013 წლიდან, კონსულტანტის წესით, რესურსცენტრის უფროსად დაინიშნა.



მიმდინარე წელი ძალიან მნიშვნელოვანი წელია საქართველოს სკოლებისათვის – საპილოტე რეჟიმში ამუშავდა პედაგოგთა განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა, რამაც თავისთავად მოიტანა ბევრი სიახლესთან შეგუების აუცილებლობა, რაც, არც თუ იხე იხე საქმეა. სქემის ირგვლივ არაერთი სამუშაო შეხვედრა გაემართა დირექტორების, პედაგოგების მონაწილეობით, რა თქმა უნდა, შენიშვნებიც გამოითქვა, ძირითადი აქცენტი მაინც სქემის დანერგვის სიმარტივეზე კეთდებოდა. განსაკუთრებული აქტიურობით დირექტორები გამოირჩეოდნენ, იყო ვადებთან დაკავშირებული შეკითხვები და ა.შ.

„შეღებოდა“; ქალაქის №3 სკოლის მოსწავლეების მიერ შემოთავაზებული ხელნაწერი ჟურნალი მათემატიკაში ნამდვილად ნოვატია იყო ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის. ეს იყო საინტერესო ახალი ამბები მათემატიკისა და მათემატიკოსების შესახებ, იქვე, ჩვენ თვალწინ, ფერადი ფურცლებით, მონაწილე საკუთარი ხელით ქმნიდა არა მარტო მათემატიკურ ფიგურებს, ყვავილებსაც კი, რამაც განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. ერთი სიტყვით, ეს იყო საკუთარი უნარების აუდიტორიის წინაშე დემონსტრირების საუკეთესო საშუალება; ასევე მინდა აღვნიშნო ჩიბათის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგის, ვლადიმერ აფხაზავას მიერ ჩატარებული გაკვეთილი, ჭანჭათის სკოლაში – სპორტის გაკვეთილი და ა.შ.



დი სახელმძღვანელოები, უცხოურ ენებში – ახლები, ასე რომ, მომავალი სასწავლო წლისთვის სამზადისი დანერგულია.

ამჟამად რაიონში 700 მასწავლებელია, აქედან 145 – უფროსის სტატუსით, ხოლო 554 – პრაქტიკოსი, ყველა სკოლაში შერჩეულია ფასილიტატორები, რომელთაც უკვე გაიარეს ტრენინგები, ამჟამად გადამზადებას შეფასების ჯგუფის წევრები გადიან. აღსანიშნავია, რომ სქემაში ჩართვის სურვილი კერძო სკოლაშიც გამოთქვა და მისი პედაგოგებიც გადიან შესაბამის პროცედურებს. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ მასწავლებელთა სახლი ადგილზე ატარებდა ტრენინგებს, რაც ძალიან კომფორტული იყო ჩვენი პედაგოგებისთვის. მასწავლებელთა სახლის ორგანიზებით, ქალაქისა და ახლომდებარე სკოლების პედაგოგები ქალაქში, ხოლო, მაგალითად, სუფსისა და სუფსის ზონის სკოლები (ჩონჩხათი, ღრმაღელე, შრომისუბანი...) სუფსაში უსმენდნენ ჩამოსულ ტრენინგებს. მომავალი წლიდან უკვე გადავალთ შეფასებებზე და უფრო ნათლად გამოჩნდება, როგორ ამუშავდა სქემა.

ერთი სიტყვით, ეს პროექტი, ერთგვარ რეპეტიციად შეიძლება ჩაითვალოს სქემის ფარგლებში, რადგან მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი დაკვირვების კომპონენტიცაა. პედაგოგები დარწმუნდნენ, რომ თურმე არც ისე ცუდია, როცა კოლეგები შენს პროფესიულ უნარებს აფასებენ და როცა პასუხისმგებლობითა და შემოქმედებითად უდგები თითოეულ გაკვეთილს, შედეგიც აუცილებლად კარგი იქნება.

### ინკლუზიური განათლება

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლებში 98 სსმ მოსწავლე სწავლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს სფერო განსაკუთრებული ყურადღების ქვეშაა. ყველა სკოლაში გვყავს საჭირო რაოდენობის კორდინატორი და ფსიქოლოგი, რომელთაც, თავის დროზე, გაიარეს საკმაოდ შრომატევადი ტრენინგები, ჩააბარეს გამოცდები და მიიღეს სერტიფიკატები. მათ მუშაობას რეგიონის მულტიმედია ჯგუფი ამოწმებს ხოლმე და საჭირო რეკომენდაციებსა და სახელმძღვანელოებს სწორედ მათგან იღებენ პედაგოგები. უმეტეს სკოლებში მოწყობილია რესურსთაბები, არის ადაპტირებული ავეჯი და განმარტებული ინვენტარი, თუმცა ამ მხრივ სკოლების ნაწილს დახმარება ნამდვილად სჭირდება. მთავარი ნიშანდღეობა გადალახულია – მშობლებიცა და მოსწავლეებიც ტოლერანტულები არიან განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების მიმართ; წლების წინ სწორედ ეს იყო ძალიან დიდი პრობლემა, რომლის მოგვარებაც, პირველ რიგში, ბავშვების სსმ თანატოლებისადმი გამოხატულმა დამოკიდებულებამ განაპირობა.

### ინფორმაციული ტექნოლოგიური პროექტები

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან მუდმივ კავშირში ვართ. ყველა მოსაგვარებელი საკითხის შესახებ ოპერატიულად ვაყენებთ საქმის კურსში, რასაც შესაბამისი რეაგირება მოჰყვება ხოლმე. შარშან, მუნიციპალიტეტის სკოლების რეაბილიტაციისთვის, 894000 ლარის სამუშაო შესრულდა; სუფსისა და წყალმინდის სკოლებში ექიმის კაბინეტები გარემონტდა; ჩიბათის სკოლაში სახურავი, კარ-ფანჯარა და გარე კიბეები შეიცვალა; ლესის სკოლაში შენობიდან შენობაში გადასასვლელი ავარიულ მდგომარეობაში იყო და გაკეთდა; ქალაქის №1 და შუხუთის საჯარო სკოლებში გარე სანკანძი და სპორტული მოედანი გაკეთდა; ჭანჭათისა და ღრმაღელეში – კარ-ფანჯარა და სახურავები შეიცვალა.

ამჟამად ქალაქის №3 და სოფელ ნიგვზიანის საჯარო სკოლებში ექიმის კაბინეტები კეთდება. უკვე მივიღეთ მერხები და სკამები, ველოდებით დაფებს; შეგროვილი გვაქვს მეორა-

### პრობლემები

დავინყებ იმით, რაც დღევანდელი საქართველოს ყველა რეგიონისთვის საერთოა – ეს არის მოსწავლეთა მიგრაცია. როცა რესურსცენტრის უფროსად დავინიშნე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 4247 მოსწავლე გვყავდა, დღეს ეს რიცხვი 3690-მდე შემცირდა, ასევე პრობლემატური კადრების საკითხი – პედაგოგთა ასაკობრივი ზღვარი 40-დან 60 წლამდე მერყეობს, თუმცა 80-ის და 80-ს გადაცილებული მასწავლებლებიც გვყავს. მათი სკოლიდან წასვლის შემდეგ შემცვლელის პოვნა გაჭირდება, ყოველ შემთხვევაში, დღესდღეობით ასეა. რაღაც პერიოდის შემდეგ საბუნებისმეტყველო საგნების ვაკანსიები გვქვია. რაიონში არ არის ისეთი მასწავლებლის რეზერვი, ვისაც დავასაქმებთ სკოლაში, იქნებ არის კიდევ ვინმე ფიზიკოსი ან ბიოლოგი, მაგრამ სქემის მოთხოვნებს ხომ უნდა შეესაბამებოდეს მათი კვალიფიკაცია; ასევეა ექიმის შემთხვევაშიც, სუფსაში კაბინეტი გავარემონტეთ და აღეჭურვეთ, მაგრამ ექიმი არ გვყავს.

პრობლემებს ვერ დავარქმევ იმას, რომ ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ მოსაწავლელი გვაქვს რიგი საკითხები, რადგან ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო საქმის კურსშია და დარწმუნებული ვარ, თანმიმდევრულად ყველაფერი მოგვარდება. თუმცა, ეს ისეთი საკითხია, რომ გასაახლებელი ან შეცვლადებული ყოველთვის იქნება რაღაც, სკოლებს თავადაც უმკლავდებიან მიმდინარე პატარა-პატარა პრობლემებს, რასაც მათი ბიუჯეტი სწვდება. უფრო სერიოზულია ის, რომ ბევრ სკოლაში უკვე საჭიროა არსებული კომპიუტერების განახლება. სასკოლო ელექტრონული ჟურნალის წარმოების საპილოტე 11 სკოლაში რეზერვად გვაქვს 30-30 კომპიუტერი, დანარჩენი, ძირითადად, სოფლის სკოლებში კი არასაკმარისი ან მოძველებულია; პრობლემატურია უწყვეტი და ხარისხიანი ინტერნეტიც.

ჩვენი სფერო მუდმივ განახლებადია და, ბუნებრივია, საზრუნავი და პრობლემები ყოველთვის იქნება, მაგრამ გურულები გამორჩეულად აქტიური, ენერგიული და სიახლეების ადვილად მიმღები ხალხია, ამიტომაც კარგაა, ჩვენი პედაგოგები, რომლებიც აქტიურად ჩაერთვნენ კარიერული წინსვლის სქემაში, წარმატებულები იქნებიან თავიანთ პროფესიაში.

მომზადდა ანა ფირცხალაიშვილმა



დაწყებითი განათლება



შორინა გამსახურდია

კონსტრუქტივიზმის პრინციპები მათემატიკის სწავლების მავალითზე – „სტუმრად ამოცანებთან“

პედაგოგიაში ცნობილია სამი ძირითადი მიმართულება: ბიჰევიორისტული, კონსტრუქტივისტული და ჰუმანისტური. თანამედროვე მასწავლებელი ამ მიმართულებების საუკეთესო ხაზებს მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესში იყენებს. ამ მიდგომებს თუ დავეყრდნობით, ძალიან საჭირო იარაღსა და საშუალებებს შევიძენთ იმისათვის, რომ კლასში თავი მოსწავლეებთან ერთად, კომფორტულად ვიგრძნოთ.

აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ კოგნიტიური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნარმოდგენილი, ჰარვარდისა და ოქსფორდის პროფესორი ჯერომ ბრუნერი, რომლის თეორია ასაკობრივი განვითარებისა და სწავლის საკითხებში კონსტრუქტივიზმის პრინციპებს ეფუძნება. ბრუნერის აზრით, ადამიანი სამყაროს შეიმეცნებს ჯერ მოქმედებით, შემდეგ ნარმოსახვით, ბოლოს სიმბოლურად. რას ნიშნავს ეს ჩემს კლასში? განვიხილოთ პირველ კლასში მათემატიკის სწავლების მავალითზე.


მოქმედებით: მოსწავლეები მოქმედებენ მანიპულაციებით: ითვლიან კენჭებს, გირჩებს, ბურთებს, ჩხირებს, ეხებიან ნივთებს, მუშაობენ სხვადასხვა საგნის გროვებთან.



ნარმოსახვით: მოსწავლეები ხატავენ მოცემულ გროვებს, ხოლო რაოდენობას აღნიშნავენ ფურცლებზე წერტილებით, წრეებითა და სხვ.



დაბოლოს, სიმბოლურად: მოსწავლეები დახატულ გროვებს მიუნიშნენ სიმბოლოებს – ციფრებს.



ბრუნერი ასევე განიხილავს აღმოჩენით სწავლის მეთოდის მნიშვნელობას, რაც სწავლის პროცესის ისეთ დაგეგმვას გულისხმობს, როცა მოსწავლე სრულად არის ჩართული და თავად აკეთებს ახალ დასკვნას. ასეთ გაკვეთილზე პედაგოგი ცდილობს, მოსწავლეებს დაასმევიოს კითხვა „რატომ?“ და დაინყოს პასუხის ძიება მის აღმოჩენამდე.

აღმოჩენით სწავლის განსახორციელებლად აუცილებელია კონკრეტული ცოდნის ფლობა და მისი გამოყენების უნარი. ამ უნარის განვითარება უნდა იყოს მასწავლებლის ძირითადი საზრუნავი.

გვინდა გავიზიაროთ გამოცდილება და შემოგთავაზოთ მეორე კლასის მათემატიკის გაკვეთილის სცენარი, რომელსაც პირობითად დავარქმევთ „სტუმრად ამოცანებთან“. ეს პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული გაკვეთილია, სადაც მოსწავლეები ცოდნის გამოყენების დემონსტრირებას ახდენენ.

გაკვეთილის მიზანი: ამოცანის შინაარსის აღქმა, ამოცანის მონაცემების გააზრება-გამიჯვნა; პრობლემის განსაზღვრა და ჩამოყალიბება, პრობლემის გადასაჭრელად საჭირო მათემატიკური მოქმედებების შესრულება;

გაკვეთილის ამოცანები: შეძლონ ამოცანის ტექსტის წაკითხვა, გააზრება, შესაბამისი გამოსახულების ჩანერგა, ამოხსნა, თვალსაჩინოების მიხედვით მათემატიკური ამბის – ამოცანის შედგენა.

უნარები: ჯგუფური მუშაობის, კომუნიკაციის, კითხვისა და წერის, მათემატიკური მოქმედებების შესრულების, კითხვის სწორად გააზრების.

გაკვეთილს ვინყვებთ წესების შესხენებით: 1. აინიე ხელი და მიიღე ნებართვა; 2. როცა ერთი საუბრობს, დანარჩენები უსმენენ; 3. ვსაუბრობთ ნახევარხმაზე. ეს ის წესებია, რომელიც ამ კონკრეტულ კლასში სამუშაოდ გვჭირდება. სხვა კლასში წესები, შესაძლოა, სხვა შინაარსის იყოს.

ვაცნობთ გაკვეთილის გეგმას, რომელსაც დაფის კუთხეში ან მეორე, უფრო მომცრო დაფაზე ჩამოვწერთ.


- 1. ამოვხსნით ამოცანას ერთად;
2. ვიმუშავებთ ჯგუფებში;
3. შევადგენთ ამოცანას სურათების მიხედვით;
4. შევაჯამებთ, რა გავაკეთეთ.

ამის შემდეგ ვინყვებთ ამოცანასთან დაკავშირებული ცოდნის გახსენებას. დაფაზე ვწერთ სიტყვას „ამოცანა“ და ვაკეთებთ ანალიზს კითხვების საშუალებით:

რა ნაწილებისაგან შედგება ამოცანა? – ამოცანის პირობა/კითხვა, კითხვები/ამოხსნა/ პასუხი.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ ამოცანა ამოვხსნათ? – ტექსტის კარგად წაკითხვა/ რა ვიცით?/ რას გვეკითხება?/ რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ამოვხსნათ ამოცანა?

მოვიფიქროთ გადაჭრის გზები. რამდენი გზით შეიძლება ამოხსნას და ა.შ. საბოლოოდ დაფაზე დანერვილი სიტყვის ქვეშ ჩნდება ასეთი ტიპის სქემა:



